საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

21 ნოემბერი 2024 წელი

სხდომის ოქმი N10

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ბექა მორჩილაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნიკა კორშია
სანდრო ქუშაშვილი
შალვა სარდალიშვილი
თორნიკე ხარჩილავა
უჩა დოლიძე

მოწვეული სტუმარი:
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" დირექტორი - ლადო გუნიავა
დღის წესრიგის პროექტში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

1. **განკარგულების პროექტი** - „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" დირექტორის ანგარიშის შესახებ".
2. **დადგენილების პროექტი** „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი: ბექა მორჩილაძე

მოისმინეს: ლადო გუნიავას მიერ წარმოდგენილი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი - „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" დირექტორის ანგარიშის შესახებ".

აზრი გამოთქვეს: ბექა მორჩილაძემ, უჩა დოლიძემ, ნიკა კორშიამ, სანდრო ქუშაშვილი და თორნიკე ხარჩილავამ

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის შესახებ“.

მომხრე - 6 . წინააღმდეგი - 0

მოისმინეს: დადგენილების პროექტი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: ბექა მორჩილაძემ, სანდრო ქუშაშვილმა და შალვა სარდალიშვილმა

დაადგინეს: კომისიას დადგენილების პროექტთან გააჩნია შემდეგი შენიშვნები, კერძოდ:

1. (0204) - ბინათმშენებლობა - დაემატოს 800,0 ათ. ლარი.
2. 02.04.01 მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია - დაემატოს 1500,0 ათ. ლარი.
3. 02.06.01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია- დაემატოს 900,0 ათ. ლარი.

გაზრდილი ფინანსური რესურსების არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნას ავარიული კორპუსების გამაგრება, ავარიული ხიდების რეაბილიტაცია ან ახლის მოწყობა, გაიზარდოს გზების რეაბილიტაცია

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი შესწავლის და სრულყოფილად განხილვის მიზნით დადგენილების პროექტი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დაუბრუნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს.

მომხრე - 6 წინააღმდეგი - 0

კომისიის თავმჯდომარე ბექა მორჩილაძე